

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო




ეკონომიკური ტენდენციების კვარტალური მიმოხილვა

I კვარტალი, 2020



მოკლე შეჯამება

- პირველი კვარტლის ეკონომიკურმა ზრდამ შეადგინა 1.5 %
- განახლებული ეკონომიკური ზრდის პროგნოზი საქართველოსთვის: 2020 წელი: -4 %
- წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 6.3 %, ხოლო საბაზისო ინფლაციამ - 4.2 %
- COVID-19 ეპიდემიის გარვცელების გამო შემცირებულია ეკონომიკური აქტივობა როგორც მსოფლიოში, ასევე რეგიონში
- ექსპორტის შემცირება წლიურად 5.9 %-ით
- იმპორტის შემცირება წლიურად 1.0 %-ით
- ტურიზმიდან მიღებული შემოსავლის შემცირება 26.1 %-ით
- მარტში ნავთობის საერთაშორისო ფასის მკვეთრი შემცირება 42 %-ით
- რეფინანსირების განაკვეთის უცვლელად შენარჩუნება





სარჩევი

რეალური სექტორი	4
ეკონომიკური ზრდა	4
ბიზნეს სექტორი	6
დასაქმება და უმუშევრობა	6
ფასების დონე	7
რეგიონის ეკონომიკური მიმოხილვა	9
საგარეო სექტორი	11
მიმდინარე ანგარიშის ბალანსი	11
საგარეო ვალი	12
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები	12
საგარეო ვაჭრობა	13
ტურიზმი	14
ფულადი გზავნილები	15
სხვა ქვეყნებზე დამოკიდებულება	16
გაცვლითი კურსი	17
ფისკალური სექტორი	18
ნაერთი ბიუჯეტის შესრულება	18
მონეტარული სექტორი	21
კერძო სერტორის ლარიზაცია	21
სესხების მიმოხილვა	22
დეპოზიტების მიმოხილვა	22
მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი	24
საპროცენტო განაკვეთები	25



რეალური სექტორი


ეკონომიკური ზრდა

2020 წლის მარტში, წლიურმა ეკონომიკურმა ზრდამ შეადგინა -2.7 პროცენტი. აღნიშნული მკვეთრი შემცირება გამოწვეულია ეკონომიკური აქტივობის შემცირებით, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე რეგიონში COVID-19 პანდემიის გავრცელების გამო. 2020 წლის მარტში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ზრდა შეინიშნებოდა შემდეგ საქმიანობებში: მშენებლობა, ინფორმაცია და კომუნიკაცია. კლება დაფიქსირდა განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების, ტრანსპორტისა და დასაწყობების, ხელოვნების, გართობის და დასვენების, საბითუმო და საცალო ვაჭრობის, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების, ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონერული ჰაერის მიწოდების, დამამუშავებელი მრეწველობის, ასევე უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობების სექტორებში.

2019 წლის IV კვარტალში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა 5.1 პროცენტით განისაზღვრა. მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა დასვენება და გართობის (+25% წ/წ), ინფორმაცია და კომუნიკაციის (17% წ/წ) და უძრავი ქონებით ოპერაციების (7% წ/წ) სექტორებში. ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი ეკონომიკურ ზრდაში შეიტანა ვაჭრობის სექტორმა, რომლის წლიური ზრდა გაუტოლდა 12.4%-ს, ხოლო წვლილმა შეადგინა 1.6 კპ. მეოთხე კვარტალში ეკონომიკურ ზრდას ძირითადად ტურიზმთან დაკავშირებული სექტორებმა განაპირობა. იმის მიუხედავად, რომ ივლისში დაწესებულმა ფრენების აკრძალვამ მნიშვნელოვნად შეამცირა ტურისტების რაოდენობა რუსეთიდან, სხვა ქვეყნებიდან მგზავრების რაოდენობის ზრდამ აღნიშნული დანაკლისი ანაზღაურა. მშენებლობის სექტორის ტემპი წინა კვარტალის შემცირდა და 1.4% შეადგინა, ხოლო მნიშვნელოვანი კლება დაფიქსირდა სოფლის მეურნეობის სექტორში, -5.1%.


მშპ-ის ზრდის მთავარ ფაქტორს წარმოადგენს მოხმარება, რომლის წლიური ზრდა განისაზღვრა 6.3%-ით, ხოლო მისი წვლილი მთლიან ზრდაში გაუტოლდა 7.6%-ს. იმის მიუხედავად, რომ წლის დასაწყისში ექსპორტის ზრდა მნიშვნელოვნად აჭარბებდა იმპორტის ზრდას და დადებით გავლენას ახდენდა ეკონომიკურ ზრდაზე, წლის ბოლოს, წმინდა ექსპორტის წილმა უარყოფითი წვლილი

დიაგრამა 1: ეკონომიკური ზრდა




წყარო: საქსტატი

დიაგრამა 2: სექტორების ზრდა, 2019 კვ IV



წყარო: საქსტატი


დიაგრამა 3: ეკონომიკური ზრდის დეკომპოზიციის



წყარო: საქსტატი



დიაგრამა 4: ეკონომიკური ზრდის პროგნოზი




წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

შეიტანა მთლიან ზრდაში, -4.6%. ასევე გაზრდილია მთლიანი კაპიტალის ფორმირება, რომელიც ასახავს როგორც კერძო სექტორის ინვესტიციებს, ასევე საჯარო სექტორის კაპიტალურ დანახარჯებს.

2020 წლის დასაწყისში COVID-19 პანდემიის გავრცელების გამო, მსოფლიოსა და რეგიონში შემცირებული ეკონომიკური აქტივობის ფონზე, მოსალოდნელია ეკონომიკური შენელება. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზების მიხედვით, 2020 წელს ეკონომიკური ზრდა გახდება უარყოფითი და გაუტოლდება -4%-ს. ეკონომიკა დაიწყებს გაჯანსახებას 2020 წლის მეოთხე კვარტალში და პროგნოზის მიხედვით 2021 წელს ეკონომიკური ზრდა გაუტოლდება 4%-ს, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება შეზღუდვების მოხსნით და სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის გაუმჯობესებით. თუმცა ნებისმიერი ტიპის პროგნოზი აღნიშნული ვითარების ფონზე, ექვემდებარება დიდ გაურკვევლობას, რომელიც უკავშირდება არსებული პანდემიის ხანგრძლივობას.

დიაგრამა 5: მშპ მოსახლეობის ერთ სულზე



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

მოსალოდნელია, რომ 2020 წელს რეგიონში შემცირებული ეკონომიკური საქმიანობის ფონზე შემცირებული ექსპორტი, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლის მნიშვნელოვანი შემცირება და ფულადი გზავნილების ნაკლებობა გააფართოვებს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს მშპ-ს 11.3%-მდე. ამავე დროს გლობალურად რისკების ზრდა შეამცირებს კერძო ფინანსურ ნაკადებს და გადაავადებს ინვესტიციებს, რაც დამატებით შეამცირებს მშპ-ს ზრდის ტემპს. გახანგრძლივებული ეკონომიკური შენელება მოითხოვს ფისკალურ სტიმულებს და მოეტარული პოლიტიკის მოქნილობას, ხოლო საბაზრო წნეხის საპასუხოდ უნდა შენარჩუნდეს გაცვლითი კურსის მოქნილობა და მოხდეს რეზერვების გამოყენება, რომელსაც თან ახლავს პროაქტიული ზომები ფინანსური სტაბილურობის შესანარჩუნებლად. ხელისუფლების მიერ მობილიზებული იქნა დონორების დახმარება გარე და ფისკალური ბუფერების შესაქმნელად, რაც ხელს შეუწყობს შოკის საპასუხო ღონისძიებების ჩატარებას და ნდობის გაძლიერებას რისკების შესამცირებლად.




ბიზნეს სექტორი

2019 წლის IV კვარტალში, ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობამ შეადგინა 31.4 მილიარდი ლარი, რაც 21.7 პროცენტით მეტია გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. ზრდის ტენდენციით ხასიათდება ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელიც. 2019 წლის IV კვარტალში მისი მოცულობა 13.4 მილიარდი ლარით განისაზღვრა, რაც 15.7 პროცენტით მეტია 2018 წლის მაჩვენებელზე. 2019 წლის IV კვარტალში მთლიანი ბრუნვის 52.7 პროცენტი მოდის მსხვილ ბიზნესზე, 20 პროცენტი - საშუალოზე, ხოლო 27.3 პროცენტი - მცირე ბიზნესზე. პროდუქციის მთლიანი გამოშვების შემთხვევაში: მსხვილ ბიზნესზე მოდის პროდუქციის გამოშვების 36.2 პროცენტი, საშუალოზე - 27.3 პროცენტი, ხოლო მცირე ბიზნესზე - 36.5 პროცენტი. 2019 წლის IV კვარტალში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 713.9 ათასი კაცით განისაზღვრა, რაც 4.3 პროცენტით მეტია გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობიდან 41.7 პროცენტი ქალია, ხოლო 58.3 პროცენტი - კაცი. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 36.2 პროცენტი მსხვილ ბიზნესზე მოდის, 21.7 პროცენტი - საშუალოზე, ხოლო 42.1 პროცენტი - მცირე ბიზნესზე.

დასაქმება და უმუშევრობა


2019 წლისთვის უმუშევრობის დონემ 11.6 პროცენტი შეადგინა, რაც 1.1 პპ-ით ნაკლებია 2018 წლის მნიშვნელობაზე და წარმოადგენს ბოლო წლების განმავლობაში ყველაზე დაბალ ნიშნულს. მათ შორის, უმუშევრობა ქალაქად შეადგენდა 17.3 პროცენტს (-1.8 პპ წ/წ), ხოლო სოფლად - 5.5 პროცენტს (-0.3 პპ წ/წ). უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონით 15-24 და 25-34 ასაკობრივი ჯგუფები გამოირჩევა. 2019 წელს ეკონომიკურად აქტიურმა მოსახლეობამ შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის (15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა) 62.9 პროცენტი შეადგინა. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირებულია როგორც მოსახლეობის აქტიურობის დონე, ასევე დასაქმების დონე, შესაბამისად 1 და 0.2 პროცენტული პუნქტით. 2019 წლის მეოთხე კვარტალში უმუშევრობის მაჩვენებელმა შეადგინა 10.9 პროცენტი, რაც 1.4 პპ-ით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მნიშვნელობაზე. 2019 წლის მეოთხე კვარტალში დაქირავებულთა წილი დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 50 პროცენტს შეადგენდა, რაც 1.3 პპ-ით ნაკლებია წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

დიაგრამა 5: ბიზნეს სექტორი




წყარო: საქსტატი

დიაგრამა 6: ბიზნეს სექტორი ზომის მიხედვით, 2019 IV კვ



წყარო: საქსტატი

დიაგრამა 7: უმუშევრობის დონე



წყარო: საქსტატი




ფასების დონე

მიმდინარე პერიოდში ინფლაციის მაჩვენებლის დინამიკაზე ხდება მნიშვნელოვანი წნეხი როგორც მიწოდების, ასევე მოთხოვნის მხრიდან. COVID-19 ვირუსის გავრცელების გამო არსებული შეზღუდვები ართულებს და ანელებს წარმოებას, რაც იწვევს დანახრჯების ზრდას, რაც აისახება საბოლოო პროდუქტის ფასზე. ამასთან ერთად, არსებული ლარის გაუფასურება, ზრდის იმ ფირმების ხარჯებს, ვისაც გააჩნია სესხი უცხოურ ვალუტაში, რაც იმპორტირებულ ინფლაციასთან ერთად განაპირობებს ინფლაციის ზრდას. ამავდროს, პანდემიასთან დაკავშირებული სოციალური დისტანცირების ზომების და შემცირებული ეკონომიკური აქტივობის გამო მცირდება როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური მოთხოვნა, რაც განაპირობებს ინფლაციის შემცირებას. შესაბამისად, საბოლოო ცვლილება დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი ფაქტორის გავლენა იქნება დომინანტური. 2020 წლის დასაწყისში შეინიშნებოდა 2019 წლის ბოლოს გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის შედეგად წლიური ინფლაციის შემცირება 7%-დან (2019 წლის დეკემბერი) 6.1%-მდე (2020 წლის მარტი). 2020 წლის პირველ კვარტალში წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 6.3%. თუმცა ზემოთ აღნიშნული ფაქტორების გამო, აპრილის წლიურმა ინფლაციამ მიაღწია 6.9%-იან ნიშნულს. აღნიშნული ზრდა ასევე ასახულია საბაზო ინფლაციის ზრდაში, რომელიც პირველ კვარტალში გაუტოლდა 4.2%-ს, ხოლო 2020 წლის აპრილში - 4.6%-ს.


ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ანგარიშის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის შემცირების პროგნოზის გათვალისწინებით, რაც ეყრდნობა იმ მოლოდინს, რომ მოხდება მიწოდების ფაქტორების განეიტრალება და ერთობლივი მოთხოვნის შემცირებით ფასების შემცირება, მოსალოდნელია მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ეტაპობრივი შემცირება, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკის გაჯანსაღებას. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიხედვით, ნომინალური გაუფასურება შეინარჩუნებს ინფლაციურ ზეწოლას 2020 წლის განმავლობაში, მაგრამ სასაქონლო ფასების შემცირებამ, შიდა მოთხოვნის შემცირებასთან ერთად ხელს შეუწყობს ინფლაციას 2021 წლის ბოლოსთვის 3 პროცენტის ნიშნულთან მიღწევას.

ლარის გაუფასურებს მიუხედავად, ადგილობრივი ინფლაცია აჭარბებს იმპორტირებულ ინფლაციას, როგორც 2020 წლის პირველი კვარტლის

დიაგრამა 8: წლიური ინფლაცია




დიაგრამა 9: ინფლაციის დეკომპოზიცია






დიაგრამა 10: ნავთობის საერთაშორისო ფასი, \$ ბარელზე




წყარო: FRED

დიაგრამა 11: საწვავის ფასების წლიური ცვლილება



წყარო: საქსტატი

დიაგრამა 12: ინფლაციის დეკომპოზიცია, I კვარტალი, 2020



წყარო: საქსტატი

ჭრილში, ასევე აპრილის მონაცემების მიხედვით. კერძოდ, პირველ კვარტალში ადგილობრივი ინფლაცია გაუტოლდა 3.6%-ს, ხოლო იმპორტირებულმა ინფლაციამ შეადგინა 1%. აღნიშნული დინამიკა გამოწვეულია სურსათზე ფასის მომატებით და სამომხმარებლო კალათაში სასურსათო საქონლის ჯგუფის მიერ შეფარდებით მაღალი წონის დაკავებით.

ასევე აღსანიშნავია, რომ იმის მიუხედავად, რომ ნავთობის საერთაშორისო ფასების მკვეთრი შემცირება დაიწყო მარტში, საქართველოს ბაზარზე აღნიშნული ცვლილება ახდენს გავლენას ეტაპობრივად. შესაბამისად, მარტში ბენზინის ფასი გაიზარდა წლიურად 6.4%-ით, ხოლო დიზელის საწვავის ფასი გაიზარდა 4.4%-ით. თუმცა აპრილის მონაცემების მიხედვით, ბენზინის ფასი წლიურად შემცირდა 6%-ით, ხოლო დიზელის საწვავის ფასი შემცირდა 11.3%-ით. 2020 წლის მარტში, წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების დინამიკამ სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე (+13.4%), სასტუმროებსა და რესტორნებზე (+8.9%). ხოლო წლიური კლება დაფიქსირდა დასვენება და გართობის (-4.4%), ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის (-0.9%) კატეგორიებში.




რეგიონის ეკონომიკის მიმოხილვა

2020 წლის დასაწყისში მსოფლიო ეკონომიკა აღმოჩნდა გლობალური კრიზისის ფონზე. COVID-19 (კორონავირუსი) პანდემიის გამო შეფერხებულია ეკონომიკური აქტივობა როგორც განვითარებულ, ასევე მზარდ და განვითარებად ქვეყნებში. ჩაიკეტა საზღვრები ქვეყნებს შორის, დაიხურა სავაჭრო ობიექტები, შესაძლებლობისამებრ სამსახურები გადავიდნენ დისტანციურ რეჟიმზე. განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს პანდემიის გარშემო არსებული გაურკვევლობა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ აპრილში გამოქვეყნებული პროგნოზის თანახმად, გლობალური ზრდა 2020 წელს გაუტოლდება -3%-ს, რაც ამავე წლის იანვარში გამოქვეყნებულ პროგნოზთან შედარებით ნაკლებია 6.3 პროცენტული პუნქტით. ამავე დროს, სსფ-ს მიხედვით, 2021 წელს მოსალოდნელია გლობალური ზრდა 5.8%-ის მნიშვნელობით. განახლებული პროგნოზის მიხედვით, განვითარებული ქვეყნების მოსალოდნელი ეკონომიკური ზრდა უდრის -6.1%-ს 2020 წელს, და 4.5%-ს 2021 წელს. ამავე დროს, მზარდი და განვითარებადი ქვეყნების მოსალოდნელი ეკონომიკური ზრდა 2020 წელს უდრის -1%-ს, ხოლო 2021 წელს აღწევს 6.6%-ს. სსფ-ის აპრილის პროგნოზის მიხედვით, ევროკავშირის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი შეადგენს -7.1%-ს, ხოლო 2021-ში კი 4.8%-ს. აღნიშული შემცირება გამოწვეულია COVID-19 პანდემიის გამო ქვეყნებს შორის საზღვრების ჩაკეტვით, ინვესტიციებისა და ექსპორტის შემცირებით, რომელიც გამოწვეულია სავაჭრო პარტნიორების მოთხოვნის შემცირებით. ინფლაციის დონე 2020 წელს 0.6% იქნება, ხოლო 2021 წელს მოსალოდნელია 1.2%.


თურქეთისთვის ბოლო პერიოდში მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ინვესტიციების შემცირება და გაუარესებული სავაჭრო ბალანსი. ამის ფონზე, საგანგებო ვითარებამ და გლობალურმა პანდემიამ დამატებითი ზეწოლა მოახდინა თურქეთის ეკონომიკაზე. სსფ-ს პროგნოზის მიხედვით, 2020 წლის რეალური ეკონომიკური ზრდა თურქეთში - 5%-ით განისაზღვრა, რაც 8 კვ-ით ნაკლებია წინა პროგნოზთან შედარებით, ხოლო 2021-ში კი 5% იქნება. თურქული ლირის გაუფასურება ჯერ კიდევ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინფლაციაზე. სსფ-ის შეფასებით, 2020 და 2021 წლებში, ინფლაციის მოსალოდნელი მნიშვნელობა შეადგენს 12%-ს. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შეფარდება მშპ-თან შემცირდება 2019 წელთან შედარებით 1.1%-დან

დიაგრამა 13: ეკონომიკური ზრდა რეგიონში



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

დიაგრამა 14: ინფლაცია რეგიონში




წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი


წყარო: International Monetary Fund. World Economic Outlook: The Great Lockdown. Washington, DC, April 2020.
International Monetary Fund. World Economic Outlook Update: Tentative Stabilization, Sluggish Recovery? Washington, DC, January 2020.



დიაგრამა 15: მიმდინარე ანგარიშის შეფარდება მშპ-თან, %



დიაგრამა 16: ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდება მშპ-თან, %



0.4%-მდე 2020 წელს, ხოლო 2021 წელს მოსალოდნელია -0.2%. განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა 2020 წელი რუსეთისთვის, რადგან კორონავირუსის პანდემიასთან ერთად, ეკონომიკურ მდგომარეობაზე ასევე უარყოფითად იმოქმედა ნავთობის საერთაშორისო ფასების შემცირებამ. შემცირდა ნავთობმოპოვების და გადამუშავების სექტორების გამოშვება, რაც გაუარესებულ საგარეო მოთხოვნასთან ერთად, მნიშვნელოვნად შეამცირა ექსპორტი. სსფ-ის შეფასებით, 2020 წლის ეკონომიკური ზრდა რუსეთში -5.5%-ით განისაზღვრა, რაც 7.4 პპ-ით ნაკლებია წინა პროგნოზთან შედარებით, ხოლო 2021-ში კი მოსალოდნელია 3.5%-იანი ზრდა. ინფლაციის დონე 2020 წელს იქნება 3.1%, ხოლო 2021 წელს მოსალოდნელია 3%. ნავთობის ფასის შემცირების გამო, მნიშვნელოვნად შემცირდება ნაერთი ბიუჯეტი, რომელიც სსფ-ის პროგნოზის მიხედვით 2020 წელს გაუტოლდება მშპ-ს -4.8%-ს, ხოლო 2021 წელს გაუტოლდება -3%-ს. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შეფარდება მშპ-თან შემცირდება 2019 წელთან შედარებით 3.8%-დან 0.7%-მდე 2020 წელს, ხოლო 2021 წელს მოსალოდნელია 0.6%.

ნავთობის ფასის შემცირება და კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული საგანგებო მდგომარეობა ასევე აისახება აზერბაიჯანის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. სსფ-ს შეფასებით, 2020 წელს აზერბაიჯანში ეკონომიკური ზრდა -2.2% იქნება, ხოლო 2021 წელს კი 0.7%. წლიური ინფლაცია 2020 წელს გაუტოლდება 3.3%-ს, ხოლო 2021 წელს - 3.2%-ს. 2019 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად შემცირდება ნაერთი ბიუჯეტის შეფარდება მშპ-თან, 8.4%-დან -12.7%-მდე 2020 წელს, და გაუტოლდება -9.7%-ს 2021 წელს. ასევე მნიშვნელოვანი შემცირებაა მოსალოდნელი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მშპ-თან შეფარდებაში, რომლის მნიშვნელობა 2019 წელს შეადგენდა 9.2%-ს, ხოლო სსფ-ის შეფასებით 2020 წელს გაუტოლდება -8.2%-ს, და 2021 წელს მიაღწევს -3.7%-ს. პანდემიის ფონზე, შემცირებული ინვესტიციებისა და ექსპორტის გამო, სომხეთის ეკონომიკური ზრდა 2020 წელს განისაზღვრა -1.5%-ის დონეზე, ხოლო 2021 წელს მოსალოდნელია 4.8%-იანი ზრდა. სსფ-ის შეფასებით, წლიური ინფლაცია 2020 წელს გაუტოლდება 0.8%-ს, ხოლო 2021 წელს - 2%-ს. ბოლო პერიოდში შემცირებული ექსპორტისა და გაზრდილი იმპორტის ფონზე, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შეფარდება მშპ-თან სსფ-ს აპრილის პროგნოზის მიხედვით შეადგენს -8.6%-ს, ხოლო 2021 წელს მოსალოდნელია -7.2%.

წყარო: International Monetary Fund. World Economic Outlook: The Great Lockdown. Washington, DC, April 2020.
International Monetary Fund. World Economic Outlook Update: Tentative Stabilization, Sluggish Recovery? Washington, DC, January 2020.



საგარეო სექტორი


მიმდინარე ანგარიშის ბალანსი

2019 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა 5.1 პროცენტი შეადგინა, რაც მნიშვნელოვან გაუმჯობესებას წარმოადგენს. დეფიციტის შემცირება ძირითადად გამოწვეულია საქონლის ბალანსის უარყოფითი სალდოს შემცირებით, რაც ექსპორტის გაუმჯობესებამ და იმპორტის შემცირებამ გამოიწვია.

მნიშვნელოვანია, რომ ბოლო წლებში დეფიციტის გაუმჯობესება გამოწვეულია დანაზოგების ზრდით, რასაც ხელი შეუწყო 2017 წლიდან ამოქმედებულმა მოგების გადასახადის რეფორმამ. რეფორმის ფარგლებში, რეინვესტირებული მოგება გათავისუფლდა მოგების გადასახადით დაბეგვრისგან. 2019 წლის განმავლობაში შემცირებულია ვალის წილი ინვესტიციების დაფინანსებაში, ხოლო გაზრდილია დანაზოგები.


მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსება ხდება ვალით და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით. დეფიციტის ვალით დაფინანსება გულისხმობს ახალი ვალის აღებას და შესაბამისად, უფრო მეტი ხარჯის გაწევას ვალის მომსახურებაზე. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, რომ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის ხარჯზე განხორციელდეს. საქართველოში ბოლო პერიოდში გაუმჯობესებულია მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების სტრუქტურა და 2017 წელს დეფიციტი მთლიანად იყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით დაფინანსებული. 2019 წლის მესამე კვარტალში, ადგილი ჰქონდა მიმდინარე ანგარიშის პროფიციტს 0.4 პროცენტის დონეზე, ხოლო დეფიციტის დაფინანსების კუთხით პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 7.7 პროცენტის ვალით დაფინანსების წილმა 8.2 პროცენტი შეადგინა. რაც შეეხება 2019 წლის მთლიან მაჩვენებელს, დეფიციტი დაფინანსებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით.

დიაგრამა 17: მიმდინარე ანგარიშის შეფარდება მშპ-თან, %




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

დიაგრამა 18: ადგილობრივი ინვესტიციების დაფინანსება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

დიაგრამა 19: მიმდინარე ანგარიშის დაფინანსება




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი



საგარეო ვალი

დიაგრამა 20: საგარეო ვალი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტთან ერთად, საქართველოს ეკონომიკის დამატებით სისუსტედ საგარეო ვალი მიიჩნევა, რაც კვლავ რჩება მოწყვლადობის ძირითად წყაროდ. საგარეო ვალი შედგება როგორც სამთავრობო სექტორის ვალისგან, ასევე - კომერციული და ეროვნული ბანკის საგარეო ვალისგან და კომპანიათაშორისი სესხებისგან.

2019 წლის ბოლოს მთლიანი საგარეო ვალი გაიზარდა წინა წელთან შედარებით და მთლიანი შიდა პროდუქტის 105.1 პროცენტი შეადგინა. ზრდა ძირითადად გამოწვეულია სამთავრობო სექტორის და ბანკების ვალის ზრდით.

საგარეო ვალის ცვლილების დეკომპოზიცია წარმოდგენილია როგორც საოპერაციო ანუ ვალის აღებით, ასევე - საფასო ეფექტით, გაცვლითი კურსის ცვლილებითა და ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის ცვლილებით. აღსანიშნავია, რომ 2015-2016 წლებში საგარეო ვალის ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი გაცვლითი კურსის გაუფასურებამ შეიტანა, ხოლო მშპ ძირითადად ხელს უწყობდა საგარეო ვალის შემცირებას. 2018 წელს საგარეო ვალის ზრდის განმაპირობებელი იყო საოპერაციო და გაცვლითი კურსის ეფექტები, თუმცა ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ და საფასო ეფექტებმა გადაწონა, რამაც ვალის შემცირება გამოიწვია. რაც შეეხება 2019 წელს, ვალის მშპ-თან შეფარდება გაზრდილია 3.9 პროცენტული პუნქტით. ცვლილებაში მთავარი ფაქტორი იყო გაცვლითი კურსის ცვლილება და საოპერაციო ცვლილება, ხოლო ეკონომიკურმა ზრდამ კი საგარეო ვალის შემცირებაში შეიტანა წვლილი.


დიაგრამა 21: ვალის მშპ-თან თანაფარდობის ცვლილება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი, ავტორის გაანგარიშება

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

დიაგრამა 22: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები



წყარო: საქსტატი

2019 წლის განმავლობაში საქართველოში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 1, 268 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 0.2 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2019 წლის მეოთხე კვარტალში განხორციელდა ძირითადად გაერთიანებული სამეფოდან (36.1 პროცენტი), თურქეთიდან (22.2 პროცენტი), ნიდერლანდიდან (13.9 პროცენტი), აშშ-დან (7.4 პროცენტი) და ლუქსემბურგიდან (5.0 პროცენტი). რაც შეეხება სექტორებს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 39.8 პროცენტი შეადგინა საფინანსო სექტორში განხორციელებულმა



ინვესტიციებმა, მშენებლობაში – 14.3 პროცენტი, უძრავ ქონებაში განხორციელდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 12.0 პროცენტი, ენერჯეტიკაში – 11.9 პროცენტი და ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში – 9.5 პროცენტი.


მნიშვნელოვანია, რომ 2016 წელს რეინვესტირებაში დაფიქსირდა უმაღლესი მაჩვენებელი და შეადგინა FDI-ის 32 პროცენტი, ხოლო 2017 წელს 43.9%, რაც აჩვენებს, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა და გაუმჯობესებული ბიზნეს გარემო დადებითად აღიქმება ინვესტორების მიერ და მეტი ინვესტორი აგრძელებს ბიზნეს გეგმებს საქართველოში. მიმდინარე ეკონომიკური პოლიტიკა და რეფორმები რეინვესტირების მაღალი დონის შენარჩუნებისა და საშუალო და გრძელვადიანი პერიოდის ზრდის წინაპირობაა. რეინვესტირების მზარდი ტემპი მოგების გადასახადის რეფორმას, ე.წ. ესტონური მოდელის შემოღებას უკავშირდება, რომელიც გულისხმობს, რომ რეინვესტირებული მოგება არ იბეგრება.

საბარემო ვაჭრობა

2020 წლის პირველ კვარტალში, მსოფლიოში გავრცელებული ეპიდემიის და ქვეყნების უმრავლესობის მიერ შეზღუდვების დაწესების ფონზე, შემცირდა საგარეო მოთხოვნა. აღნიშნული ფაქტორების უარყოფით გავლენა საქართველოს ექსპორტზე, ფულად გზავნილებსა და საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებულ შემოსავალზე იქნება უარყოფითი გარკვეული დროის განმავლობაში ეპიდემიის ილბლივ არსებული გაურკვევლობის გამო. ამავე დროს, შემცირებული ეკონომიკური საქმიანობის გამო ქვეყნის შიგნით, ასევე შემცირდა იმპორტის მოცულობა. 2020 წლის პირველ კვარტალში, ნომინალური ექსპორტის წლიურმა ზრდამ შეადგინა -5.9 პროცენტი და გაუტოლდა 778.1 მლნ აშშ დოლარს, ხოლო ექსპორტის რეალურმა ზრდამ შეადგინა -7.6 პროცენტი. ამავე დროს, იმპორტი წლიურმა ზრდამ შეადგინა -1 პროცენტი და გაუტოლდა 2004 მლნ აშშ დოლარს, ხოლო რეალურმა ზრდამ შეადგინა -0.5 პროცენტი.


2020 წლის პირველ კვარტალში, საინვესტიციო საქონლის იმპორტი შემცირებულია 8 პროცენტით,

დიაგრამა 23: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

დიაგრამა 24: FDI-ის განაწილება, 2019 კვ4



წყარო: საქსტატი


დიაგრამა 25: საგარეო ვაჭრობა - იანვარი-მარტი, 2020



წყარო: საქსტატი




დიაგრამა 26: ექსპორტის წლიური ცვლილება




წყარო: საქსტატი

დიაგრამა 26: იმპორტის წლიური ცვლილება



წყარო: საქსტატი

დიაგრამა 27: იმპორტის ცვლილების დეკომპოზიცია



წყარო: საქსტატი; ავტორის გაანგარიშება

სამომხმარებლო საქონლის იმპორტი - 1.9 პროცენტით, ხოლო შუალედური საქონლის იმპორტი 2.7 პროცენტით არის გაზრდილი. აღსანიშნავია, რომ საქონლის იმპორტის კლება, უმეტესად, საინვესტიციო საქონლის იმპორტს უკავშირდება.

2020 წლის პირველ კვარტალში სასაქონლო ჯგუფებიდან საქსპორტო ათეულში პირველი ადგილი სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა დაიკავა 158.9 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 20.4 პროცენტი), მეორე ადგილზე - მსუბუქი ავტომობილები 127.9 მლნ აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 16.4 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზე - ფეროშენადნობები 58.2 მლნ. აშშ დოლარით (7.5 პროცენტი).

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი შეადგინა მსუბუქი ავტომობილების ჯგუფმა 186.7 მლნ აშ დოლარით (მთლიანი იმპორტის 9.3 პროცენტი), ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ჯგუფმა, რომლის იმპორტმა 150.3 მლნ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 7.5 პროცენტი შეადგინა. ასევე მნიშვნელოვან წილს იკავებდნენ ნავთობის აირები 134.9 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 6.7 პროცენტი), და სპილენძის მადნები და კონცენტრატები 111.1 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 5.5 პროცენტი).

ტურიზმი

2019 წელს, ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი გაიზარდა 1.4 პროცენტით. აღნიშნული შეფარდებით მცირე ზრდა გამოწვეულია ივლისში დაწყებული ფრენების აკრძალვით რუსეთიდან საქართველოს მიმართულებით. თუმცა, ამავე დროს სხვა ქვეყნებიდან გაზრდილმა შემოსავალმა მოახერხა აღნიშნული უარყოფითი შოკის გავლენის შემსუბუქება. ამავე დროს, ვიზიტორთა რაოდენობა 2019 წელს წლიურად გაიზარდა 8.4 პროცენტით.

COVID-19 ეპიდემიის გავრცელებიდან თავის არიდების მიზნით, მარტში მოხდა საზღვრების ჩაკეტვა და საერთაშორისო მოგზაურობის შეწყვეტა საქართველოს ტერიტორიაზე. აღნიშნული შეზღუდვის შედეგად მკვეთრად შემცირდა საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობამ. 2020 წლის მარტში ვიზიტორების მთლიანმა რაოდენობამ 196 ათასი შეადგინა, რაც წინა წლის მარტთან შედარებით 67.3 პროცენტით ნაკლებია. ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 69.8 პროცენტით შემცირდა და 73.8 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. პირველი




კვარტლის მონაცემებით, ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი წლიურად შემცირდა 26.1%-ით და გაუტოლდა 427.7 მლნ აშშ დოლარს, ხოლო მოგზაურთა რაოდენობა წლიურად შემცირდა 21.7%-ით და შეადგინა 1158 ათასი კაცი. აღსანიშნავია, რომ საზღვრების გახსნამდე და ტურისტული მიმოსვლების განახლებამდე მოსალოდნელია, რომ ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები განაგრძობს შემცირებას.

ფულადი გზავნილები


2020 წლის პირველ კვარტალში წმინდა ფულადი გზავნილების მოცულობამ 328.2 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის პირველი კვარტლის მნიშვნელობის მსგავსია (შეინიშნება 0.1% იანი ზრდა), ხოლო წინა კვარტალის მნიშვნელობასთან შედარებით შეინიშნება 19.3 პროცენტის კლება. აღსანიშნავია, რომ გზავნილების ზრდის შენელება განპირობებულია მარტში დაფიქსირებული კლებით, იანვარსა და თებერვალში დაახლოებით 7 პროცენტის ზრდის შემდეგ მარტში დაფიქსირდა 12 პროცენტის კლება. აღნიშნული შემცირების მიზეზს წარმოადგენს ერთი მხრივ კორონა ვირუსის პანდემიის შედეგად გლობალური ეკონომიკური გარემოს გაუარესება, რის შედეგადაც გზავნილების მოცულობა შემცირდა ისეთი ძირითადი კონტრიბუტორი ქვეყნებიდან როგორებიცაა იტალია, თებერვალში არსებული 24.1 პროცენტის ზრდის შემდეგ მარტში დაფიქსირდა 8 პროცენტის კლება, რამაც საბოლოო ჯამში კვარტალური ზრდის ტემპის შენელება გამოიწვია და 2020 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით უკანასკნელ პერიოდში მინიმალური მნიშვნელობა 11.3 პროცენტი მიიღო (1.8 პროცენტის კონტრიბუციით ზრდაში). გარდა ამისა ნავთობის ფასების ზრდამ დამატებითი დარტყმა მიაყენა ისეთი ქვეყნების ეკონომიკას, რომლებიც მნიშვნელოვნად იყვნენ დამოკიდებული ნავთობზე, მაგალითად რუსეთის შემთხვევაში შესამჩნევი იყო რუბლის მკვეთრი გაუფასურება, რაც აგარეთვე აისახა რუსეთიდან გზავნილების მოცულობაზე, მარტის თვეში დაფიქსირდა რუსეთიდან წმინდა გზავნილების 40 პროცენტის კლება, რამაც პირველ კვარტალში გზავნილების 22.2 პროცენტის შემცირება გამოიწვია და საბოლოო გზავნილების ზრდაში რუსეთიდან წმინდა გზავნილებმა უარყოფითი 5.2 პროცენტის წვლილი შეიტანა.

დიაგრამა 28: შემოსავალი ტურიზმიდან, მლნ აშშ




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 29: შემოსავალი ტურიზმიდან, მლნ აშშ დოლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 30: წმინდა ფულადი გზავნილები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი




სხვა ქვეყნებზე დამოკიდებულება

საქართველოს ეკონომიკა დივერსიფიცირებულია სხვა ქვეყნებზე დამოკიდებულების მიხედვით. მიმდინარე ანგარიშის შემოსულობებში ექსპორტის, ტურიზმისა და ტრანსფერების წილების მიხედვით, საქართველოს მჭიდრო დამოკიდებულება აქვს რუსეთთან, თურქეთთან, უკრაინასა და ევროკავშირის ქვეყნებთან.

2019 წლის საგადასდლო ბალანსის მიხედვით გაზრდილია უკრაინასა და ევროკავშირზე დამოკიდებულება, ხოლო შემცირებულია მთლიანი დამოკიდებულება რუსეთსა და თურქეთზე. ასევე აღსანიშნავია ქვეყნებზე დამოკიდებულების კომპოზიციის ცვლილება. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, შეიმჩნევა ტრანსფერების წილის შემცირება და ტურიზმის და ექსპორტის წილების ზრდა. თურქეთის გარდა, ტურიზმის წილს მიმდინარე ანგარიშის შემოსულობებში გააჩნია დადებითი ტრენდი. 2019 წლის მეორე ნახევარში რუსეთის მიერ დაწესებულმა ფრენების აკრძალვამ მნიშვნელოვნად შეამცირა ტურისტების რაოდენობა რუსეთიდან, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა მიმდინარე ანგარიშში ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი რუსეთიდან. თუმცა სხვა ქვეყნებიდან მგზავრების რაოდენობის ზრდამ აღნიშნული დანაკლისი ანაზღაურა. რაც შეეხება ექსპორტს, მის წილს მზარდი ტემპი აქვს რუსეთსა და უკრაინასთან, და თითქმის უცვლელია თურქეთსა და ევროკავშირის ქვეყნებთან.

დიაგრამა 31: დამოკიდებულება სავაჭრო პარტნიორებზე




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი




გაცვლითი კურსი

დიაგრამა 32: ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 33: რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 34: რეგიონის ვალუტების კურსები აშშ დოლართან მიმართებაში (ინდექსი, 2020 წლის ბაზით 1 იანვრის)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ცხრილი 1: ნომინალური ეფექტური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსების ცვლილება

	31 მარტი, 2020	31 მარ 2020 - 1 იან 2019	31 მარ 2020 - 1 იან 2018
ევრო	3.6363	▼ -23.2%	▼ -28.1%
აშშ დოლარი	3.2845	▼ -19.4%	▼ -27.0%
თურქული ლირა	0.5039	▲ 48.9%	▲ 62.5%
რუსული რუბლი	0.0412	▲ 4.3%	▼ -21.2%
ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი	112.21	▼ -12.2%	▼ -5.0%
რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (თებერვალი, 2020)	117.53	▼ -1.7%	▲ 1.6%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

კორონა ვირუსის პანდემიისა და ნავთობის ფასის საერთაშორისო ვარდნის ფონზე აშშ დოლარი გამყარდა განვითარებადი ქვეყნების ვალუტების მიმართ, რაც შეიმჩნევა რეგიონის ქვეყნების ვალუტების შეწონილი ინდექსის დაღმავალ ტენდენციაშიც, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ლარი გაუფასურდა რეგიონის ქვეყნების ვალუტების მიმართაც, რაც თავის მხრივ განპირობებულია იმით, რომ ტურიზმს საქართველოს ეკონომიკაში უფრო მნიშვნელოვანი წილი უკავია ვიდრე რეგიონის ქვეყნების ეკონომიკაში, არსებულმა პანდემია კი ყველაზე დიდი დარტყმა ტურიზმის სექტორს მიაყენა.

უკანასკნელი კვარტალის განმავლობაში ლარის გაუფასურებამ პიკს მიაღწია 27 მარტის მდგომარეობით, მოცემულ დღეს ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსი თავისი საშუალოვადიანი ტრენდიდან ბოლო პერიოდში არსებული მონაცემებით ყველაზე მეტად, -16.1 პროცენტით, იყო გადახრილი მარტის ბოლომდე ნომინალურმა ეფექტურმა კურსმა ტრენდისაკენ გადაადგილება დაიწყო და 31 მარტის მდგომარეობით გადახრა -10.6 პროცენტამდე შემცირდა. რაც შეეხება ფასების დონით კორექტირებულ გაცვლით კურსს აპრილში რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის მნიშვნელოვანი მნიშვნელობა დაუახლოვდა ტრენდს, ხოლო მარტის მდგომარეობით ტრენდიდან -2.3 პროცენტით იყო გადახრილი.



ფისკალური საქტორი

ნაერთი ბიუჯეტის შესრულება

2020 წლის იანვარ-მარტის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 3,034 მლნ ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 3,233.5 მლნ ლარი, რაც შეადგენს საპროგნოზო მაჩვენებლის 106.6%. გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2,801.1 მლნ ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 2,982.8 ათასი ლარი, რაც შეადგენს საპროგნოზო მაჩვენებლის 106.5%.

- საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულია 987.9 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (882.0 მლნ ლარი) 112.0%-ია.
- მოგების გადასახადის სახით მობილიზებულია 442.1 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (342.0 მლნ ლარი) 129.3%-ია.
- დამატებული ღირებულების გადასახადის სახით მობილიზებულია 1,216.4 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1,126 მლნ ლარი) 108.0%-ია.
- აქციზის სახით მობილიზებულია 224.6 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (236.3 მლნ ლარი) 95.0%-ია.
- იმპორტის გადასახადის სახით მობილიზებულია 20.3 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (18.5 მლნ ლარი) 110.0%-ია.
- ქონების გადასახადის სახით მობილიზებულია 1.7 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (4.3 მლნ ლარი) 40.1%-ია.
- სხვა გადასახადი შეადგენს 89.8 მლნ ლარს.


გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 34.2 მლნ ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 30.5 მლნ ლარი, რაც შეადგენს საპროგნოზო მაჩვენებლის 89.3%.

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 198.8 მლნ ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 220.1 მლნ ლარი, რაც შეადგენს საპროგნოზო მაჩვენებლის 110.7%.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 63.1 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (43.5 მლნ ლარი) 145.1%-ია.


ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 24.1 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (30.5 მლნ ლარი) 79.1%-ია.

დიაგრამა 35: ნაერთი ბიუჯეტის შესრულება



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო


დიაგრამა 36: ნაერთი ბიუჯეტის სალდო



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო




დიაგრამა 37: გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დიაგრამა 38: ნაერთი ბუჯეტის ხარჯები



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საბიუჯეტო შემოსავლებში მნიშვნელოვან წილს იკავებს გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი, რაც 2020 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით შეადგენს 92%-ს. პირველ კვარტალში ნაერთმა ბიუჯეტმა გადასახადებიდან მიიღო 2,982.8 მლნ ლარი, რაც 15.1%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. საშემოსავლო გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი წლიურად გაიზარდა 20.9%-ით და გაუტოლდა 987.9 მლნ ლარს. ყველაზე მაღალი ზრდა შეინიშნება მოგების გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის სახით, რომელიც გაიზარდა 58.3%-ით წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით და გაუტოლდა 442.1 მლნ ლარს. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ გადასახადებიდან მიღებულ შემოსავალში ყველაზე დიდი წილი უკავია დღგ-დან მიღებულ შემოსავალს, რომლის წილი 2020 წლის პირველ კვარტალში შეადგენს 40.8%-ს, ხოლო წლიური ზრდის ტემპი უდრის 11.3%-ს. ასევე 30.1%-ით გაიზარდა იმპორტის გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავალმა და შეადგინა 20.3 მლნ ლარი. აქციზის გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი შემცირდა 21.3%-ით წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით და შეადგინა 224.6 მლნ ლარი. ასევე შემცირება შეინიშნა ქონების გადასახადებიდან მიღებული შემოსავალში, რომლის წილი გადასახადებიდან მიღებულ შემოსავალში შეადგენს 0.1%-ს და წლიურად შემცირდა 58.5%-ით.

2020 წლის პირველ კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ხარჯები გაიზარდა 21.1%-ით და შეადგინა 3,040 მლნ ლარი. ბიუჯეტის ხარჯების ნაწილში ყველაზე დიდი წილი უკავია სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეულ ხარჯებს, რომელიც შეადგენს მთლიანი ხარჯების 44.1%-ს, ხოლო წლიური ზრდის ტემპი ტოლია 34.2%. ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა სუბსიდიების სახით გაწეული ხარჯები, რომლის წლიური ზრდის ტემპი გაუტოლდა 37.2%-ს და შეადგინა 320 მლნ ლარი, რაც შეადგენს მთლიანი ხარჯების 10.5%-ს. ყველაზე მცირე წილი უკავია გრანტებზე გაწეულ ხარჯებს, რომელიც შეადგენს მთლიანი ხარჯების 0.3%-ს და წლიური ზრდის ტემპი ტოლია 11.4%. რაც შეეხება ხარჯების დანარჩენ მუხლებს, შრომის ანაზღაურებას (მთლიანი ხარჯების 14.7%), საქონელსა და მომსახურებას (მთლიანი ხარჯების 12%), პროცენტს (მთლიანი ხარჯების 5.6%) და სხვა



ხარჯებს (მთლიანი ხარჯების 12.7%), პირველ კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, შესაბამისად, 3.5%-ით, 8.2%-ით, 10.6%-ით და 11.9%-ით მეტი იქნა მიმართული.

2020 წლის იანვარ-მარტის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 635 817.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 2 839 478.2 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 107.7%.

2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ (ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობას) I კვარტალში შეადგინა 193.5 მლნ ლარი (254.7 მლნ ლარით ნაკლები წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით), ხოლო მთლიანი სალდო (საოპერაციო სალდოს გამოკლებული არაფინანსური აქტივების ცვლილება) გაუტოლდა -316.9 მლნ ლარს (372.2 მლნ ლარით ნაკლები წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით). ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები გაიზარდა 9.3%-ით წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით და გაუტოლდა 3,234 მლნ ლარს, ხოლო ხარჯების და არაფინანსური აქტივების ცვლილება, შესაბამისად, გაზარდა 21.1%-ით და 29.9%-ით.

ცხრილი 2: 2020 წლის I კვარტლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები

	3 თვის გეგმა	3 თვის ფაქტიური	შესრულება %-ში
შემოსავლები	2,635,817.0	2,839,478.2	107.7%
ხარჯები	2,949,407.3	2,750,152.4	93.2%
საოპერაციო სალდო	-313,590.3	89,325.9	-28.5%
არაფინანსური აქტივების ცვლილება	412,991.9	369,611.3	89.5%
მთლიანი სალდო	-726,582.2	-280,285.5	38.6%
ფინანსური აქტივების ცვლილება	-174,560.6	290,303.7	-166.3%
ვალდებულებების ცვლილება	552,021.6	570,589.2	103.4%
ზრდა	805,950.7	822,563.5	102.1%
საშინაო	360,000.0	358,156.1	99.5%
საგარეო	445,950.7	464,407.4	104.1%
კლება	253,929.1	251,974.4	99.2%
საშინაო	12,129.1	12,129.1	100.0%
საგარეო	241,800.0	239,845.2	99.2%

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ცხრილი 2: 2020 წლის იანვარ-მარტის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

	3 თვის გეგმა	3 თვის ფაქტიური	შესრულება %-ში
გადასახადები	2,512,860.0	2,673,040.3	106.4
საშემოსავლო გადასახადი	812,000.0	910,919.8	112.2
მოგების გადასახადი	342,000.0	442,090.1	129.3
დღგ	912,060.0	985,320.9	108.0
აქციზი	236,300.0	224,558.1	95.0
იმპორტის გადასახადი	18,500.0	20,341.1	110.0
სხვა გადასახადი	192,000.0	89,810.2	46.8

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო



მონეტარული სექტორი

პერძო სერთორის ლარიზაცია


სესხების ლარიზაციის მზარდი ტენდენცია 2020 წლის პირველ კვარტალში 41 პროცენტის ირგვლის დასტაბილურდა. აღსანიშნავია რომ მთლიანი სესხების ლარიზაციის ძირითად დეტერმინანტს ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ლარიზაცია წარმოადგენს. 2020 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ 55.8 პროცენტი შეადგინა, იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე - 26.5 პროცენტი, ხოლო მთლიანად სესხების ნაშთებზე - 41.2 პროცენტი შეადგინა.

რაც შეეხება სესხების ლარიზაციას უზრუნველყოფის მიხედვით, მზარდი ტენდენცია გააჩნია როგორც იპოთეკური ასევე სამომხმარებლო სესხების ლარიზაციას, მაგრამ სამომხმარებლო სესხების ლარიზაცია მნიშვნელოვნად აღემატება უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების ლარიზაციას. 2020 წლის 1 აპრილის მდგომარეობით სამომხმარებლო სესხების ლარიზაცია 86.4 პროცენტს შეადგენს, ხოლო იპოთეკური სესხების ლარიზაცია გაუტოლდა 31.3 პროცენტს.


განსაკუთრებული ცვლილება არ შეინიშნება დეპოზიტების ლარიზაციის ტენდენციაში დებიტორების მიხედვით. დეპოზიტების ლარიზაცია კვლავ მნიშვნელოვნად განაპირობებულა იურიდიული პირების დეპოზიტების ლარიზაციით. 2020 წლის 1 აპრილის მდგომარეობით მთლიანი დეპოზიტების ნაშთების ლარიზაციამ 33.2 პროცენტი შეადგინა, იურიდიული პირების დეპოზიტების ნაშთების ლარიზაცია ამავე პერიოდში 45.5 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო ფიზიკური პირების დეპოზიტების ნაშთების ლარიზაცია - 23 პროცენტს.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე ანგარიშების ლარიზაციაში (გაცვლით კურსის ეფექტის გამორიცხვით) შემცირების ტენდენცია დაფიქსირდა 2020 წლის პირველი კვარტალისათვის, მაგრამ ეს შემცირება დაბალანსებული იყო ვადიანი დეპოზიტების ნაშთების ლარიზაციის მზარდი ტენდენციით, რამაც საბოლოო ჯამში დეპოზიტების ლარიზაცია სატაბილურ დონეზე შეინარჩუნა. პირველი აპრილის მდგომარეობით მიმდინარე ანგარიშების ლარიზაცია 36.2 პროცენტს გაუტოლდა.

დიაგრამა 39: სესხების ლარიზაცია




სესხების ლარიზაცია უზრუნველყოფის მიხედვით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 40: დეპოზიტების ლარიზაცია





დეპოზიტების ლარიზაცია დებიტორების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი




დიაგრამა 41: სესხების წლიური ზრდა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 42: უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების წლიური ზრდა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ამავე პერიოდში მოთხოვნამდე დეპოზიტების ლარიზაცია 31.6 პროცენტია, ხოლო ვადიანი დეპოზიტების - 32.4.

სესხების მიმოხილვა

2020 წლის 1 აპრილის მდგომარეობით საკრედიტო პორტფელის წლიურმა ზრდამ 16 პროცენტი შეადგინა. მიუხედავად იმისა, რომ სესხების ზრდას კვლავ მნიშვნელოვანწილად ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხები განსაზღვრავს, აღსანიშნავია, რომ მოცემულ კვარტალში აღმავალი ტენდენციით ხასიათდებოდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების ზრდა და აპრილის დასაწყისში მისი მნიშვნელობა 11.3 პროცენტს გაუტოლდა, რაც შეეხება ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ სესხებს, 1 აპრილის მდგომარეობით წლიურმა ზრდამ 23.5 პროცენტი შეადგინა, რაც 2.5 პროცენტული პუნქტით ჩამოუვარდება წინა თვის მაჩვენებელს.

მნიშვნელოვანი ცვლილებები არ შეინიშნება სესხებს ზრდაში კრედიტორების ჭრილში, საკრედიტო პორტფელის ზრდის ძირითადი დეტერმინანტს კვლავ იურიდიული პირების სესხების ზრდა წარმოადგენს მისი მნიშვნელობა პირველი აპრილის მდგომარეობით 23.2 პროცენტს შეადგენს, ფიზიკური პირების სესხების ნაშთების წლიური ზრდა კი იმავე პერიოდში 9.8 პროცენტს გაუტოლდა.

2020 წლის აპრილისთვის უძრავი ქონებით სესხების წლიურმა ზრდამ 21.4 პროცენტი შეადგინა. ამასთან ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული იპოთეკური სესხების ზრდა 45.3 პროცენტს შეადგენს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების ზრდას მოცემულ კვარტალში ზრდის ტენდენცია გააჩნია და აპრილის ბოლოს 12.9 პროცენტს გაუტოლდა.

დეპოზიტების მიმოხილვა

მნიშვნელოვანი ცვლილება არ შეინიშნება დეპოზიტების ზრდის ტენდენციაში, 2020 წლის პირველ კვარტალში მაქსიმალური ზრდა დაფიქსირდა 1 მარტის მდგომარეობით, ხოლო აპრილის დასაწყისში მთლიანი დეპოზიტების ნაშთების ზრდამ 2019 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 9 პროცენტს შეადგენა, ამასთან დეპოზიტების ზრდის ძირითად დეტერმინანტად კვლავ ფიზიკური პირების დეპოზიტები რჩება, ფიზიკური პირების დეპოზიტების ნაშთების






წლიურმა ზრდამ პირველი აპრილის მდგომარეობით 11.7 პროცენტი შეადგინა, იმავე პერიოდში იურიდიული პირების დეპოზიტების წლიური ზრდა 5.8 პროცენტს გაუტოლდა.

ბოლო პერიოდი განმავლობაში ეროვნული ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების ზრდა შედარებით მუდმივი ტრენდის გარშემო მერყეობდა და პირველი აპრილის მდგომარეობით წლიურმა ზრდამ 10.5 პროცენტი შეადგინა, უცხოური ვალუტით დენომინირებულ დეპოზიტების ზრდაში კი, აღმავალი ტენდენცია შეინიშნება, რამაც განაპირობა, რომ მოცემულ კვარტალში დეპოზიტების ზრდის ძირითად დეტერმინანტს უცხოური ვალუტის დეპოზიტების ზრდა წარმოადგენდა, რომლის მნიშვნელობაც აპრილის დასაწყისში 8.2 პროცენტს გაუტოლდა.

რაც შეეხება დეპოზიტების ზრდას ტიპების მიხედვით, მიმდინარე ანგარიშების წლიური ზრდა მნიშვნელოვნად შემცირდა მიმდინარე კვარტალის განმავლობაში და აპრილის დასაწყისში 5.9 პროცენტი შეადგინა, მიმდინარე ანგარიშების ზრდის ტემპის შენელება დაბალანსებული იყო ვადიანი დეპოზიტების ნაშთების ზრდაში დაფიქსირებული მნიშვნელოვანი მატებით, პირველი აპრილის მდგომარეობით ვადიანი დეპოზიტების ნაშთების ზრდა 11.7 პროცენტს გაუტოლდა და მნიშვნელოვანწილად განაპირობა მთლიანი დეპოზიტების ზრდა. ამავე პერიოდში მოთხოვნამდე დეპოზიტების ზრდამ 7.7 პროცენტი შეადგინა.

დიაგრამა 43: დეპოზიტების წლიური ზრდა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი




მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი

დიაგრამა 44: ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 45: სებ-ის სავალუტო აუქციონზე აშშ დოლარით ვაჭრობის დინამიკა, მლნ



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2020 წლის 18 მარტს საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება რეფინანსირების განაკვეთის უცვლელად 9.0%-ზე დატოვების შესახებ. აღნიშნული გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა გაცვლითი კურსის გაუფასურებიდან მომდინარე ინფლაციური ზეწოლის განეიტრალებას ისახავდა მიზნად, თუმცა მოსალოდინი რომ ინფლაცია წლის დარჩენილი პერიოდის განმავლობაში შემცირდებოდა და მიზნობრივი მაჩვენებელს დაუბრუნდებოდა, კორონავირუსის პანდემიისა და მსოფლიო სასაქონლო ბაზარზე ნავთობის ფასების მკვეთრი ვარდნის ფოხე, გაურკვევლობამ ჩაანაცვლა. იკვეთება ინფლაციაზე მოქმედი ფაქტორები, რომლებიც ზეწოლას ახორციელებენ როგორც ზრდის აგრეთვე კლების მიმართულებით: შესუსტებული ერთობლივი მოთხოვნა ინფლაციაზე კლების მიმართულებით მოქმედებს, ამასთან სავალუტო ბაზარზე არსებული მაღალი მერყეობა და ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის გაუფასურება ზრდის ინფლაციურ მოლოდინებს. საბოლოო ჯამში ინფლაციის მნიშვნელობა დამოკიდებულია ამ ფაქტორებიდან რომლის ზემოქმედება უფრო ძლიერი აღმოჩნდება, თუ შესუსტებული ერთობლივი მოთხოვნის ეფექტი გადააჭარბებს და ინფლაციაზე დადმავალი ზეწოლა წარმოიქმნება, მოსალოდნელია მონეტარული პოლიტიკის შერბილება, თუ გაუფასურებიდან მომდინარე ზეწოლის ეფექტი უფრო დიდი აღმოჩნდა ინფლაციაზე განიხილება მონეტარული პოლიტიკის კიდევ უფრო გამკაცრება. მოცემული მაღალი გაუკვევლობის ფონზე მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული საპროცენტო განაკვეთის უცვლელად შენარჩუნება.



საპროცენტო განაკვეთები


2020 წლის პირველ კვარტალში მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა ეროვნული ვალუტით მოზიდული დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთებში და აპრილის დასაწყისისთვის 9.6 პროცენტს გაუტოლდა, ამავე პერიოდში უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთმა 2.9 პროცენტი შეადგინა. 2020 წლის აპრილში იურიდიული პირები მიერ ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 10.6 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო უცხოური ვალუტით - 2.5 პროცენტს. ფიზიკური პირების დეპოზიტებზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე გაუტოლდა 2.5 პროცენტს, ხოლო ეროვნული ვალუტით - 10.6 პროცენტს.

2020 წლის მარტში საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი მოკლევადიან სამომხმარებლო სესხებზე 19.5 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 25.7 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 6.1 პროცენტს).

გრძელვადიან სამომხმარებლო სესხებზე საშუალო შეწონილ საპროცენტო განაკვეთს მნიშვნელოვანწილად ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხები განსაზღვრავს. მისი მნიშვნელობა 2020 წლის მარტში, 16.5 პროცენტს გაუტოლდა. ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 17.7 პროცენტს შეადგენს, ხოლო უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ სესხებზე 8.3 პროცენტს.



იურიდიულ პირებზე გაცემულ, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 2020 წლის თებერვლის ბოლოს 12.3 პროცენტს შეადგენდა, ხოლო უცხოურ ვალუტით - 7.0 პროცენტს. ფიზიკურ პირებზე ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 12.0 პროცენტი შეადგენა, ხოლო უცხოურ ვალუტაში 6.2 პროცენტი.

დიაგრამა 46: საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტების ნაშთებზე



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 47: საპროცენტო განაკვეთები გაცემულ, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებზე



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საინფორმაციო ფურცელი

პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის მიერ. პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია და აზრები წარმოადგენს ავტორების - მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის ეკონომიკური გუნდის აზრებს და არ წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ პოზიციას. პუბლიკაციაში მოყვანილი ანალიტიკური ინფორმაცია ემსახურება საინფორმაციო მიზნებს და მოპოვებულია საჯარო წყაროებიდან. ანგარიშში მოცემული პროგნოზები და გაანგარიშებები არ უნდა იყოს მიღებული როგორც დაპირება, მინიშნება და გარანტია.

